ზამთრის ტურიზმის განვითარება

30 წელიწადია ვლადიმირ ხაჩატრიანი სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესშია. თანდათანობით სამცხე-ჯავახეთის ტურისტული პოტენციალი იზრდება და ვლადიმირმა ბიზნესის გაფართოება გადაწყვიტა. ააშენა სამსართულიანი სასტუმრო, რომელმაც უკვე უმასპინძლა რუს და ევროპელ ტურისტებს. სასტუმროს მეპატრონემ საკუთარი სახსრებით 2 დამატებითი კოტეჯიც ააშენა, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

“ამ დროს შევიტყვე LAG-ის შესახებ. მითხრეს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ტურისტული პროექტების დაფინანსება იყო. LAG-ის წევრები ძალიან დაგვეხმარნენ. ყველაფერი დეტალურად აგვიხსნეს, საჭირო დოკუმენტაცია მოგვაწოდეს. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოვამზადეთ პროექტი, რომელიც დაფინანსდა და რისი საშუალებითაც ჩვენ სასტუმროს, მანსარდული ტიპის 4 კომფორტული ოთახი შეემატა,” - აღნიშნა ვლადიმირ ხაჩატრიანმა.

პროექტის ავტორის საქმიანობა მხოლოდ სასტუმრო ბიზნესით არ შემოიფარგლება. მან ევროკავშირის დაფინანსებით თანამედროვე თოვლმავლებიც შეიძინა და ზამთარში ტურისტები ჯავახეთის მთებზე მიჰყავს. ასევე, ვლადიმირმა სპეციალური ტურიც შეიმუშავა. მარშრუტის პირველი წერტილი თბილისია, შემდეგი კი წალკა, სადაც ტურისტებს დაშბაშის კანიონის და ბერტას ტაძრის მონახულების საშუალება ეძლევათ. მოგზაურობა ფარავნის ტბაზე გრძელდება.

პროექტის შედეგად დასაქმდა: 4 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 91.500 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 65.000 ლარი
თანადაფინანსება: 31.000 ლარი

“ფარავნის ტბაზე ტურისტები თევზაობენ, ნაწილი ცხენებით ჯირითობს. საოცარი შთაბეჭდილებები ჩვენ სტუმრებს ფოკას მონასტერში ელოდებათ. ტურისტები დედაოების მიერ მომზადებულ შოკოლადს, თაფლს, მურაბას და ყველს აგემოვნებენ,” - ამბობს სასტუმროს მეპატრონე.

ტურისტული მარშრუტი ახალქალაქში გრძელდება, სადაც ძველ ციხე-სიმაგრესა და ეკლესიას სტუმრობენ. თუმცა ეს ყველაფერი არ არის - ვლადიმირს უამრავი ახალი გეგმა და იდეა აქვს, რომლის განხორციელებასაც აპირებს და იმედოვნებს, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ ყველაფერი ძველებურ კალაპოტს დაუბრუნდება.

“ისევ ჩამოვლენ ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ისევ დავლაშქრავთ თოვლმავლებით ჯავახეთის მთებს, ისევ ვეწვევით ფოკას დედათა მონასტერს და ისევ ვითევზავებთ ფარავნის ტბაზე. ჩვენ უცხოელ სტუმრებს შთაბეჭდილებებით და მოგონებებით დახუნძლულებს გავუშვებთ მშობლიურ ქვეყნებში და აუცილებლად მოვანდომებთ უკან დაბრუნებას”, - განაცხადა ვლადიმირ ხაჩატრიანმა.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.